სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

24 ოქტომბერი, 2023 წ.

ბრძანება N 01-10/121

ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტში სტაჟიორთა მისაღები
კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში **სტაჟირების გავლის წესის** დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 29 მარტის N2 გადაწყვეტილებისა და ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის 2023 წლის 18 ოქტომბრის N1398694 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოცხადდეს კონკურსი **ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტში სტაჟირების** გავლის მიზნით კანდიდატთა (სტაჟიორთა) შესარჩევად.
2. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ბსუ-ს **,,სამართალმცოდნეობის"** საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის **მე-3 ან/და მე-4** სასწავლო წლის სტუდენტებსა და ბსუ-ს ,,სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს ან აღნიშნული პროგრამების კურსდამთავრებულებს (**შენიშვნა:** მე-3 სასწავლო წლის სტუდენტის <u>მიერ ათვისებული კრედიტების რაოდენობა</u> <u>არ უნდა იყოს 120 კრედიტზე ნაკლები).</u>
3. კონკურსანტმა **2023 წლის 25 ოქტომბრიდან 2023 წლის 06 ნოემბრის** ჩათვლით ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) **ან** ბსუ-ს ელექტრონული ფოსტის (chancellery@bsu.edu.ge) მეშვეობით უნდა წარმოადგინოს:

ა) წერილობითი **განაცხადი სტაჟირებაზე (სტაჟირების გავლის წესის დანართით** გათვალისწინებული **ფორმის** შესაბამისად შევსებული, მათ შორის სამოტივაციო ნაწილიც);
ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
გ) CV;
დ) ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ (აქტიური სტუდენტის სტატუსის შემთხვევაში) და სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემიდან ამოღებული სასწავლო ბარათი, ხოლო კურსდამთავრებულმა - დიპლომისა და სტანდარტული დანართის ასლი;
ე) ცნობა სოციალურად დაუცველობის შესახებ (არსებობის შემთხვევაში).

4. კონკურსის წესით შეირჩეს 4 სტაჟიორი, შერჩეულმა კანდიდატებმა **ერთი თვის** განმავლობაში გაიარონ ანაზღაურების გარეშე სტაჟირება ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტში.
5. სტაჟიორებმა უნდა შეასრულონ ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის დებულებითა და პერსონალის სამუშაო აღწერილობით გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობები, დაკისრებული დავალების ფარგლებში.
6. სტაჟირების წარმატებით გავლის შემთხვევაში სტაჟიორზე გაიცეს სერტიფიკატი.
7. სტაჟიორთა ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე განისაზღვროს <u>სტაჟიორები, რომლებიც შესაძლებელია დასაქმდეს არაუმეტეს 6 თვის ვადით</u> (ანაზღაურებადი სტაჟირება). ყოველთვიური ანაზღაურება განისაზღვროს შესაბამის სამუშაო ცვლებში სამუშაო დატვირთვის გათვალისწინებით (არაუმეტეს 500 ლარის ოდენობით).
8. სტაჟირების კონკურსის ჩატარების მიზნით შეიქმნას სტაჟიორთა საკონკურსო კომისია, რომელმაც განსაზღვროს კონკურსის ჩატარების ვადები და ინფორმაცია განათავსოს ბსუ-ს ვებგვერდზე (კონკურსების ველში).
9. განცხადება სტაჟიორთა კონკურსის გამოცხადების შესახებ გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე, წინამდებარე ბრძანებასთან და ბსუ-ში სტაჟირების გავლის წესთან ერთად (ბსუ-ს რეგულაციები, მათ შორის ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში **სტაჟირების გავლის წესის** დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 29 მარტის N2 გადაწყვეტილება განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე, ველის ,,სწავლა" ქვეველში **,,სტუდენტთა გზამკვლევი"** - დანართი N13 - https://bsu.edu.ge/upload/bsu_stajirebis_gavlis_wesi_2022.pdf).
10. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს იურიდიულ დეპარატმენტს, საქმისწარმოების სამსახურს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
11. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
12. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მერაბ დიასამიძე